**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №78**

**ქ. თბილისი** **16 ივნისი, 2023 წელი**

ერთი მხრივ, სპეციალური საგამოძიებო სამსახური (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ლევან მამულაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ფლაგ არტი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის რომან დარჩიაშვილის სახით, ერთად წოდებულნი როგორც „მხარეები“, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების (შესყიდვის) საგანი/ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

1.1 **ხელშეკრულების საგანი:** სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სხვადასხვა სახის დროშების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

1.2 **შესყიდვის ობიექტის რაოდენობა:** ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის რაოდენობების შესახებ მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში.

1.3 **შესყიდვის საშუალება:** გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს მე-13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.4 **ხელშეკრულების საერთო ღირებულება** შეადგენს 1 140.00 (ერთი ათას ას ორმოცი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში.

1.5 **კლასიფიკატორის კოდი:** CPV – 35821000 - დროშები.

1.6 **ხელშეკრულების მოქმედების ვადა:** ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 16 ივნისიდან 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით.

**2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი**

2.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2023 წლის 20 ივნისისა.

2.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. №40.

**3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი შესაბამისობაში იქნება წინამდებარე ხელშეკრულებასთან და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს ახალი და უნაკლო.

3.3 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვეს.

3.4 საგარანტიო პერიოდში შესყიდვის ობიექტის მიერ გამოვლენილი წუნის/ხარვეზის/დეფექტის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის დავალებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში შეაკეთოს წუნდებული/ხარვეზის ან დეფექტის მქონე საქონელი, ხოლო შეკეთების შეუძლებლობის შემთხვევაში, წუნდებული/ხარვეზის ან დეფექტის მქონე საქონელი შეცვალოს ახლით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

3.5 წუნის/ხარვეზის/დეფექტის მქონე საქონლის შეკეთების ან შეცვლის შემთხვევაში საქონლის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

4.1 შემსყიდველი ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლს.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე, უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - შესყიდვის ობიექტის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხოლო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სპეციალისტი - შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა და ხელშეკრულების სხვა პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტში მითითებული პირები.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

## 6. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით - ლარში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2023 წლის ბიუჯეტის სახსრებით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

## 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

*(პირგასამტეხლო, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)*

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლო.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველი დარღვევისთვის ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.4 თუ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალეული ქმედებით, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
7.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
8.2 ხელშეკრულების დამდები მხარე 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
8.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის, შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიწოდების ვადის, ასევე, ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებისათვის განსაზღვრული ვად(ებ)ის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
8.6 ამ მუხლის 8.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის (გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად) ღირებულება.
8.7 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი სახით.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
9.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
9.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.
9.5 მხარეებისთვის ცნობილია გავრცელებული ვირუსის (COVID-19) შესახებ, ხელშეკრულების ამ მუხლის (9. ფორს-მაჟორი) მოქმედება არ ვრცელდება COVID-19-ით გამოწვეულ შედეგებზე (მათ შორის, შეზღუდვები და სხვა) და ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის, გავრცელებული COVID-19 არ წარმოადგენს ფორს-მაჟორულ გარემოებას.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. ღირებულება

11.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
11.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
11.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
11.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
11.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 12. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა წარმოებდეს წერილობითი ფორმით. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება ფოსტის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

12.2 ამ მუხლის 12.1 პუნქტით მიღებული შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

## 13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
13.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.2 საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

## 15. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| **სპეციალური საგამოძიებო სამსახური** | **შპს „ფლაგ არტი“** |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 205510142<br>მისამართი: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9<br>საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი: TRESGE22<br>ა/ა GE24NB0330100200165022<br>ტელ: 2121402<br>ელ-ფოსტა: bsajaia@sis.gov.ge | საიდენტიფიკაციო კოდი: 206160018<br>მისამართი: ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. №40<br>საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>ა/ა: GE72BG0000000894356101<br>ტელ: 2761512<br>ელ-ფოსტა: info@flagart.ge |
| ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი | დირექტორი |
| Levan Mamulashvili Digitally signed by Levan Mamulashvili Date: 2023.06.16 | LTD FlagArt Подписано цифровой подписью: LTD FlagArt Дата: 2023.06.16 11:50:20 +04'00' |
| ლევან მამულაშვილი | რომან დარჩიაშვილი |

**2023 წლის 16 ივნისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №78 ხელშეკრულების**

**დანართი №1**

| № | დასახელება | ტექ. მახასიათებლები | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს სახელმწიფო დროშა | შიდა გამოყენების დროშა: ოქროსფერი ფოჩით (ბახრამა), ორმაგი, დამზადებულია ატლასის ქსოვილისგან (პოლიესტერი). ბეჭდვა ციფრული, სუბლიმაციური, ორი ერთმანეთზე შედუღებული დროშა, თანდაყოლილი სარჩულით, ორგვირისტიანი შემოკერვით. დროშის მარცხენა მხრიდან ვერტიკალურად მიკერებული მყარი ზონარით. დროშის თავში და ბოლოში მიკერებული კაუჭებისათვის განკუთვნილი თოკ-სამაგრებით. დროშის ზომა: 100სმX150სმ. დროშის ფერი არ გახუნდება და არ ამოირეცხება. ქსოვილის წონა არანაკლებ 125გრ 1კვ/მ | 1 ცალი | 190.00 | 190.00 |
| 2 | ევროკავშირის დროშა | | 1 ცალი | 190.00 | 190.00 |
| 3 | ევროპის საბჭოს დროშა | | 4 ცალი | 190.00 | 760.00 |
| | **სულ ჯამი:** | | | | **1 140.00** |